საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი
შეფასების დეპარტამენტს
შპს „რეპსოლის“ ს/ნ 405074128
დირექტორის ზურაბ ნოზაძის
ტელ. 599 17 87 69
ელ.ფოსტაა: qobulashvili56@ mail.ru

სკრინინგის განცხადება

მოგახსენებთ, რომ შპს „რეპსოლს“ ს/ნ 405074128 2020 წლის 08 ოქტომბერს იჯარის ხელშკრულებით გადაეცა ლენტეხში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული ავტოგასამართი სადგური, (GPS კოორდინატში X-313350; Y-4739810) და შპს „რეპსოლის“ მიერ მოხდა ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია.

ავტოგასამართი წარმოადგენს მოქალაქე თეონა ტეფნაძის საკუთრებას და ფუნქციონირებს 2012 წლიდან. ავტოგასამართი სადგური უახლოესი დასახლებული პუნქტიდან (საცხოვრებელი სახლიდან) დაშორებულია 180 მ-ით. (იხ.დანართი #1).

შპს „რეპსოლის“ მიერ მოხდა ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია კერძოდ, არსებულ სამ რეზერვუარს 1) 3 მ^3; 2) 5 მ^3; 3) 3 მ^3; (სამივე გამოიყენება დიზელისთვის) დაემატა ერთი 25,0 მ^3 მოცულობის რეზერვუარი. სიგრძით 4,6 მ; დიამეტრით 2,56 მ; რომლის სასუნთქი სარქველის სიმაღლეა 1.5 მეტრი, დიამტრი 0,05 მ. რეზერვუარი დაიფარა ანტიკოროზიული ნივთიერებით და მოთავსებული იქნა არსებულ ქვა-ღორღის სარკოფაგში. ახალი რეზერვუარი გამოყენებულია ბენზინისთვის.

შესაბამისად ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინის და დიზელის საწვავის რეალიზაციისათვის. ბენზინის წლიური რეალიზაციის მაქსიმალური

რაოდენობა იქნება 1 000 000 ლიტრი, დიზელის წლიური რეალიზაციის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 1 000 000 ლიტრი.

ნავთობპროდუქტების მიღება და ავზებში ჩატვირთვა ხდება თვეში ოთხჯერ ან ხუთჯერ, სპეციალური საწვავმზიდი ავტომობილებით. რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება საწვავის მარიგებელ სვეტს, საწვავის ჩატვირთვა ხდება ოთხი დისპენსერის საშუალებით. საწვავმარიგებელი სვეტი დამონტაჟებულია რეზერვუარებიდან 12 მეტრის დაშორებით და რეზერვუარებს უკავშირდება თანამედროვე პლასტიკის მილებით. ავტოგასამართი სადგურის მუშაობის ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. სასმელ-სამეურნეო წყალი ობიექტს მიეწოდება დასახლების ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. ობიექტის ტერიტორიაზე არსებობს საკანალიზაციო ჭა (რკინის რეზერვუარის სახით) რომლის დაცლაც ხდება სპეციალური ავტომზიდით.

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, ავტოგსამართი სადგური იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 365 სამუშაო დღე წელიწადში.

ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და შემდგომ მათ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების მიღებისას.

ტერიტორიაზე დამონტაჟებულია მეხამრიდი, რომელიც ფარავს სარეზერვუარო მოედანს, საოპერატოროს და მარიგებელ სვეტებს.

ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექების და ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრება მოხდება მოედნის პერიმეტრზე განთავსებული ღია ღარების საშუალებით და ჩაედინება სალექარ-დამჭერში, დალექვის შემდეგ ის

ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომი უტილიზაციისათვის გადეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. სალექარ-დამჭრიდან ამოღებული წყალი და თხევადი ნარჩენები განთავსდება სპეციალურ კონტეინერში და ასევე გადაეცემა შესაბამის ორგანიზაციას.

ავტოგასამართი სადგურის მუშაობისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, წელიწადში დაახლოებით 0,2 $მ^3$ ოდენობით, ასევე სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები, გადამწვარი ნათურები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით კერძოდ, მათი დროებითი განთავსება, ტრნასპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

ობიექტის მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონის გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარი.

ავტოგასამართი სადგური აღჭურვილია სახანძრო დაფით, ცეცხლმაქრებით, სახანძრო ინვენტარით და არსებული კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებებით. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების განსათავსებელი უბანი, სადაც დგას ნაგვის ურნები, დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის.

სარეკონსტრუქციო სამუშოების წარმოებისას ამოღებული მასა მთლიანად დაიყარა და მოსწორდა ობიექტის ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთზე სადაც განთავსებულია ავტოგასამართი სადგური, არ არის მრვალწლიანი მცენარეები, არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. ასევე არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება მიწის ნაყოფიერ ფენაზე, რადგან ტერიტორია წარმოადგენს დამუშავებული ქანების დატკეპნილ ზედაპირს.

ავტოგასამართი სადგური განთავსებულია მდინარე ხელედულას მიმდებარედ. მდინარე მიედინება ხევში, ხევის სიღრმე წარმოადგენს 7-8 მეტრს ,ავტოგასამართი სადგურის მხრიდან ხევი გამაგრებულია რკინა-ბეტონის ჯებირებით (იხ. დანართი #2). ობიექტის მხრიდან მთლიანად გამორიცხულია მდინარის დაბინძურება და დანაგვიანების შესაძლებლობა. ავტოგასამართ სადგურს აღმოსავლეთით ესაზღვრება საავტომობილო გზა, რომლის მიმდებარედ განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებული ქონება ს/კ 87.04.21.017, რომელიც წარმოადგენს სწრაფი კვების ობიექტს. სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 65 მეტრში მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახლად აშენებული ახალგაზრდობის ცენტრი.

ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართ სადგურში დასაქმებულები არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები, ხუთი ადამიანი.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას ახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს.

დამატებით გაცნობებთ, რომ 2021 წლის 20 აპრილს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს შუამდგომლობის საფუძელზე, ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს მიერ, სკრინინგის განცხადებაში მითითბულ ობიექტთან დაკავშირებით მიღებული იქნა

დადგენილება, საქართველოს სახელით სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შესახებ (იხ. დანართი #7).

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს „რეპსოლის" დირექტორი ზ.ნოზაძე

ფოტო №1

ფოტოსურათი №2



ფოტო №3



ფოტო №4

ოთხთავი

ARCO

დანართი 3

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *87 04 21 009*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010883231
მიწის ნაკვეთის ფართობი: *160* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
მომზადების თარიღი: 18.11.10



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ვალდებულება
მშენებარე ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

დანართი №7

საქმე N061510021004503629
საქმე №4/20-2021წ.

6703963061593
www.ecd.court.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით
სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შესახებ

20 აპრილი, 2021 წელი

დ.ლენტეხი

ლენტეხის მაგისტრატი სასამართლო
მოსამართლე - ნანა ჯანხოთელი
სხდომის მდივანი- ხატია მეშველიანი

შუამდგომლობის აღმძვრელი ორგანო- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველო
ოქმის შემდგენი-გიორგი გვენეტაძე
წარმომადგენელი-პაატა თაგვაძე

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი-შპს ,,რეპსოლი", ს/ნ 405074128 (იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ცინცაძის ქ. N39, ბ.78. დირექტორი ზურაბ ნოზაძე პ/ნ 57001001589)
წარმომადგენელი: თორნიკე ლიპარტელიანი (პ/ნ27001000329)

ოქმის №063370

განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით
სხდომაზე გამოცხადდა-დაბა ლენტეხში, ჭავჭავაძის ქ.N39-ში მდებარე შპს,,რეპსოლის" მენეჯერი-თორნიკე ლიპარტელიანი

აღწერილობითი ნაწილი

1. **სამართალდარღვევის არსი**

20201 წლის 04 მარტს, დასავლეთის რეგიონულ სამმართველოში შესული გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N1671/01(25.02.2021წ) წერილის საფუძველზე, დაბა ლენტეხში, ჭავჭავაძის ქუჩაძე, N39-ში არსებული შპს,,რეპსოლის" დათვალიერებისას, ობიექტი ფუნქციონირებდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების დარღვევით, კერძოდ-აღნიშნული კომპანიის მიერ განხორციელებულია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება/რეკონსტრუქცია, მათ შორის, წარმადობის გაზრდა სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, რითაც დარღვეული იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილი.

2. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის პოზიცია

შპს,,რეპსოლის" მენეჯერი, ნაწილობრივ დაეთანხმა ოქმში მითითებულ გარემოებებს და აღნიშნა, რომ ობიექტის გადაცემა მოხდა სპონტანურად, ყინვების გამო ვერ დაასრულეს სამუშაოები,არ იყო ინფორმირებული საკრინინგის გადაწყვეტილებების ტაობაზე, ითხოვა პატიება.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენელმა მოითხოვა სამართალდამრღვევს დაეკისროს ასკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სამართალდარღვევის ოქმი N063370 მ
- მოხსენებითი ბარათი
- 2021 წლის 04 მარტის შემოწმების აქტი
- თორნიკე ლიპარტელიანის ახსნა-განმარტება
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
- ფოტოილუსტრაცია
- შპს,,რეპსოლის" ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში
- დანართები
- საინფორმაციო ბარათი
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი
- სხდომის ოქმი

სამოტივაციო ნაწილი

2. სამართლებრივი შეფასება და შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს და თანდართულ მასალებს, მისი შედგენის სისწორისა და სრულყოფილების თვალსაზრისით გააკეთა დასკვნა, რომ იგი შეესაბამება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისად, მას გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა ამავე კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად.

სასამართლომ გამოარკვია, რომ არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხავი გარემოებები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალებისა და ადმინისტრაციულისამართალდარღვევის საქმის განხილვის მონაწილეთა ახსნა-განმარტების, ერთობლივი გამოკვლევა-შეფასების შედეგად, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ სახეზეა **შპს„რეპსოლის“** მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რადგან აღნიშნული მუხლის თანახმად-„**გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება ან სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება – გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000-დან 10 000 ლარამდე**“.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა

დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, შემამსუბუქებელი გარემოება არის ის, რომ შპს,,რეპსოლის" წარმომადგენელი აღიარებს ჩადენილ ქმედებას. წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით, სამართალდარღვევას არ გამოუწვევია რაიმე ზიანი ან/და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ისეთი დარღვევა, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს,,რეპსოლის" მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო წესი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ განსახილველ შემთხვევაში მიზანშეწონილია შპს,,რეპსპოლის" მიმართ გამოყენებული იქნას სიტყვიერი შენიშვნა.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე, 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით, 264-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე, 273-ე, მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.შპს,,რეპსოლი"(ს/ნ 405074128, დირექტორი-ზურაბ ნოზაძე) ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.

2. დადგენილების ასლი გამოცხადებიდან – 3 (სამი) დღის ვადაში ჩაბარდეს (გაეგზავნოს) მხარეებს.

3. დადგენილების შესახებ მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო- ანალიტიკურ დეპარტამენტს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მხარეთათვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა №32) ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს მეშვეობით (დ.ლენტეხი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №17).

მოსამართლე: ხელმოწერილია ნანა ჯანხოთელი

ასლი დედანთან სწორია

ხატია მეშველიანი
მოსამართლის თანაშემწე